

220

ჯარის ნაწი-  
ლებს უზასოთ  
ეზავნებათ.

7 ნოემ. 1920 წ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# მსგდარი

ფასი 25 მან.

№ 23

მრგანო საგზ. საინ. კულტ.-განათლ. საქმისა.

№ 23

5475-7



დავითი	მ
სოსო	მ
ვახუშტი	მ
გიორგი	მ
სიმონ	მ

977/4

გენერალი ან. ბენაშვილი.

გეოლოგიის პროფესორი ქართულ უნივერსიტეტში  
სამხედრო სასწავლებლის უფროსად ნამყოფი, ტფი-  
ლისის ფიზიკურ ობსერვატორიის გამგე და ავტო-  
რი „თელაველი ოტელოსი“.

### ტფილისი, 7 ნოემბერი.

**ჯარსი დაეხმო.** კიდევ ერთი სიმაგრე დაეხმო შავბნელი  
რესპუბლიკას ჩასცა მოსისხლე მტერმა გულში  
მახვილი: ქემალ-ფაშას ჯარი 4 დღის ბრძოლის შემ-  
დეგ შევიდა ყარსის სიმაგრეში, სომხეთის მთავრო-  
ბა მხოლოდ ჯარისა და არტილერიის ნაწილის გა-  
ყვანა მოასწრეს და გუმბრისაკენ დაიხიეს.

არაჩვეულებრივის სისწრაფით დაეხმო ყარსის  
ციხე. ბაქოს დამხობა საბედისწერო წინაშობედი  
იყო ყარსის დამხობისა. ჩვენს მეზობელ რესპუბ-  
ლიკას ბედი არ უღიმის ბევრი სიმწარე განიცადა  
მან ამ უკანასკნელ წუთებში, მაგრამ დღევანდელი  
საფრთხე ყოველ მოლოდინს აღემატება, დღეს სო-  
მხეთის წინაშე ამართულია საბედისწერო კითხვა:  
ბრძოლა ბოლომდე დამოუკიდებელ არსებობისა-  
თვის, თუ მონურად ქედის მოხრა. ჩვენ გვრწამს  
რომ სომხის ხალხი ასე იოლად არ დასთმობს ეგო-  
დენის სისხლითა და სიღუბჭირით მოპოვებულს თა-

ვისუფლებას და ყარსის დამხობის მერე წელში მო-  
მაგრებული ღირსეულს პასუხს გასცემს მას.

მაგრამ ჩვენთვის საგულისხმოა ისიც, თუ ყარს-  
ში ძლევამოსილად შესული ქემალ-ფაშას ჯარი  
ახლა საით მიჰმართავს თავის სისხლიანს შუბს, სამხრე-  
თისაკენ, თუ ჩრდილოეთისაკენ? ყოველ შემთხვე-  
ვაში ყარსის დამხობამ საქართველოს სადარაჯოზე  
საგანგაშო ნალარა დაჰკრა.

ფხიზლად საგუშავგოზე.  
საქართველოს ხალხი, მისი ერთეული მთავ-  
რობა, სახელოვანი ჯარი და შეუღარებელი გვარ-  
დია ფხიზელის თვალით გაჰყურებენ ყარსის ნან-  
გრევენს და ერთის წუთითაც არ აშორებენ თვალს  
ჩვენი ქვეყნის მიჯნებთან მოახლოვებულს მოსისხ-  
ლე მტერს, რომ სათავეშივე ჩაუკლან მას ბრძო-  
ლის სურვილი, თუ გაჰბედა და ამართული მახვი-  
ლი ჩვენსკენ მომართა.

ყარსი დაეხმო! გაუმარჯოს საქართველოს სა-  
დარაჯოს!

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა .

რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა და

სამხედრო უწყებათა მიმართ.

23 ოქტომბერი, 1920 წ. № 90.

თანახმად 1919 წლის 6 ნოემბრის სხდომის დადგენილებისა, რომელიც გამოცხადებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იმავე წლის № 258-ში, რესპუბლიკის ყოველი მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცი ვალდებულია თან ქონდეს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მაჩვენებელი საბუთი. მთავრობის ასეთი დადგენილების გამო გენერალურ შტაბმა სხვა და სხვა დროს მოახდინა სათანადო განკარგულებები, ხოლო ამა წლის 8 ივნისს გამოცემული იქნა სამხედრო უწყების მიმართ № 49 ბრძანება, რომლის ძალით რესპუბლიკის ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცთა აღრიცხვა აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოს. სამხედრო მინისტრის ხსენებული ბრძანება ყველა სათანადო-განმარტება-დამატებებით დაურთავდა გენ. შტაბის მიერ საყოველთაოთ აღსასრულებლად ა/წ. 23 ივნისს სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა უფროსებს № 2676-ით და სამაზრო ერობათა თავმჯდომარეებს, ტფილისის ქალაქის მოურავს და აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარეს № 2677-ით. მივიღებთ მხედველობაში, რომ დღეს რესპუბლიკის ყოველ მაზრაში არსებობს სამხედრო აღრიცხვის განყოფილება, ყოველ მოქალაქეს ადვილათ შეეძლო გამოცხადებულიყო თავის მაზრის სამხედრო განყოფილებაში და მიეღო კანონით მოთხოვნილი საბუთი. მიუხედავად ამისა, მოქალაქენი მიმართავენ ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს მათი აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. ასეთ მოვლენიდან ნათლად სჩანს, რომ ზოგიერთ მაზრებში ჯერაც არ არის სისრულეში მოყვანილი შემოხსენებული მთავრობის დადგენილების გამო სამხედრო უწყებისადმი გაცემული № 49 ბრძანება და მაზრების სამხედრო, თუ სამოქალაქო ადმინისტრაციამ არ იცის სად იმყოფება აღრიცხვაზე მათდამი რწმუნებული მაზრის სათადარიგო თუ მოლაშქრე ჯარის კაცი. ყოველივე შემოაღნიშნულის გამო კატეგორიულად ვბრძანებ 1) დღეიდან ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცებს სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მაჩვენებელი საბუთი ეძლეოდეს თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 2) აეკრძალოს ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროს პირველ პუნქტში აღნიშნულ საბუთების გაცემა იმ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცებზე, რომელნიც არ არიან ქ. ტფილისის მუდ-

ეროვნული

მივი მცხოვრებლები, 3) ყველა მოქალაქე, რომელიც არ არის აღმინისტრაციის დაევალოს ყოველი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცის პიროვნების გამოკვლევა, რათა სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსის მიერ ყალბ პიროვნებაზე არ იქნეს საბუთი გაცემული და 4) სხვა მაზრებიდან ქ. ტფილისში ჩამოსულნი ყველა ის სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცი, რომელთაც არ აღმოაჩნდებათ შემოხსენებული საბუთი, ქალ. ტფილისის ადმინისტრაციის მიერ დაუყოვნებლივ იქნენ დაბრუნებულინი სათანადო სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსთან ამ საბუთის მისაღებათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალი ა. გედევანიშვილი,

## რა უნდა შევასწავლოთ ჯარის კაცს.

უპირველესად ყოველისა ჯარის კაცი უნდა იყოს გაწვრთნილი, როგორც მეომარი და ითვისებდეს როგორც ტაქტიკურს ისე ტექნიკურ ცოდნას.

ეს უსაქიროესი პირობაა და გარეშე ამ ცოდნის ჯარის კაცი ვერ გამოიღებს ჩვენი დროისთვის საჭირო ნაყოფს, მაშასადამე ფიზიკური განვითარება და ტანის ვარჯიშობა ჯარის კაცისთვის შეადგენს მთავარ დანიშნულებას.

მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ ტანის ვარჯიშობამ და ფიზიკურმა განვითარებამ არ დაამონაოს ჯარის კაცის სულიერი განვითარება.

სულიერი კულტურული განვითარება ეს უდიდესი იარაღია ჯარის კაცთათვის და ჯარი მაშინ სდგას უმაღლეს ნიადაგზე როდესაც ყველა ამ პირობებს შეითვისებს. მსოფლიო ომმა დაგვანახვა რომ ომი მოიგო იმან ვინც სულიერათ და კულტურულათ განვითარებული იყო. რუსეთის ჯარმა დაპყარა იარაღი როცა შეიგნო რომ მისი მთავრობა უშედეგო და მიზანშეუწონელ ომს აწარმოებდა და არ ჰქონდა ჯარს წარმოდგენილი რისთვის იბრძოდა და რა შედეგი უნდა ჰქონოდა ამ საშინელ ომს. მაშასადამე იარაღი ჯარისათვის გამოსადეგია იქამდინ, ვიდრე იგი ემსახურება ერთ წინასწარ მიზანს და შეიცავს რაიმე დანიშნულებას.

ჩვენ ჯარის კაცს, ჩვენმა მთავრობამ ჩააბარა იარაღი სამშობლოს დასაცავათ და მეშათა ინტერესების გასამტკიცებლად, მაშასადამე ჩვენ უნდა შევავანებინოთ ჯარს რისთვის აქვს მას იარაღი, რა საჭიროება მოითხოვს და რა დანიშნულება აქვს მის ყაზარმაში ყოფნას.



თუ წინეთ ჯარის კაცი ემსახურებოდა მშრო-  
ელი ხალხის სისხლის მწოველ თვითმყრობელო-  
ბას, მაშინ ჯარის კაცი იყო ბრმა იარაღით მთავ-  
რობის ხელში, და ხშირად ოდესაც გამოიყვანდნ  
ხლომე ჯარის კაცებს ყაზარმებიდან და, ხიშტებით  
მიუსევდნ თავის მშობლებს, და შვილს მამას აკ-  
ლევინებდნ. დღეს კი ჯარის კაცი ისევე მშრო-  
მელი ხალხის შემლია და იცავს იარაღით ისევე  
მშრომელი ხალხის მთავრობას და თავის სამშობ-  
ლოს ბედნიერებას,

აი ეს არის მიხანი და ჯარის კაცის მთავარი  
დანიშნულება, ეს უნდა დაედგას საფუძვლად ჯარის  
კაცის აღზრდას.

ჩვენი ჯარის კაცი უნდა აღიზარდოს პოლი-  
ტიკურად და კულტურულ ნიადაგზე უნდა დაე-  
ყნოთ. მას უნდა შევასწავლოთ რისთვის არის  
გაწვეული ჯარში და რა მიხანს ემსახურება, შევას-  
წავლოთ ჩვენი წარსული ისტორია, ჩვენი წარსული  
ომები სამშობლოს და მთავრობის წინაშე მოვა-  
ლეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ტანის  
ვარჯიშობა და ფიზიკური განვითარება უშედეგოთ  
ჩაივლის და არ მიაღწევს იმ მიხანს, რაც ესაჭი-  
როება ჩვენს სამშობლოს. მაშასადამე გადაძკრელი  
ხსიათი ომში და ცხოვრებაში ჰქონია ჯარის კაცის  
სულიერ განვითარებას და სამშობლოს წინაშე მო-  
ვალეობის შეგნებას. ეს არის უმთავრესი ფაქტორი  
ჯარის კაცთათვის და ეს უნდა დაუღვათ საფუძვ-  
ლათ მის მომავალ აღზრდაში.

სამშობლო ეს უმაღლესი აკვანია, რომელმაც  
აღზარდა და ჩაუღდა მას სული. სადაც რომ იყოს  
და რა პირობებში იმყოფებოდეს. მაინც ყოველი  
ჩვენგანი თავის საწყალ კერას მოიგონებს, მაშასა-  
დამე უსამშობლოთ ვერ შეიძლება დამზვიდებული  
სულიერი განვითარება და ვერც ერთი ვერი ვერ  
იარსებებს ამ პირობების გარეშე.

ვისაც სწამს ვერი, ვისაც უყვარს თავის სამ-  
შობლო და მისი ბედნიერება, ის მუდამ აიღებს  
იარაღს და გულადათ თავს შესწირავს მხოლოდ  
იმისთვის, რომ იცის თუ კვდება მხოლოდ თავის  
საყვარელ სამშობლოსათვის და ამ თავგანწირულ  
სამშობლოსათვის სიკვდილს მუდამ ჩასთვლის ბედ-  
ნიერ მოვლენათ.

პირადს გულადობას ჩვენი ჯარის კაცი სამ-  
შობლოს დაცვაში გამოხატავს და აი ამ აღტაცე-  
ბაში ფრთებს გაშლის, და ლომისავით შეებრძო-  
ლება თავის მტერს.

ყაზარმაში ჯარის კაცმა უბრალოთ არ უნდა  
დაჰკარგოს დრო, იგი უნდა შეეცადოს განვითარ-  
დეს და სამსახურიდან დაბრუნებისამებრ უნდა გახ-  
დეს ყოველ უფლებიანი სახელმწიფოს წევრი და  
შეიგნოს რომ მისი ცოდნა და განვითარება დამო-  
კიდებულია სამშობლოს აყვავებაზე.

ამ მხრივ ჩვენ მთავრობის მიერ მოწოდებული  
ყოველივე ზომები ჯარის კულტურულ აღზრდაში  
ში. სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების  
სექცია იღებს ყოველ ზომებს ჯარის კაცის კულ-  
ტურულ განვითარებაში, მხოლოდ მისი მუშაობა  
უმწიფო იქნება თუ ყოველივე ჯარის კაცის უფრო-  
სები არ მიიღებენ ზომებს და თვითონ არ ესაუბ-  
რენ თავის ჯარის კაცებს და არ შეაგნებენ ყვე-  
ლა ის რაც კი ესაჭიროება ჯარის კაცს სამშობ-  
ლოს დაცვაში.

ყველა ოფიცერმა და ათასეულების უფროსე-  
ბმა უნდა შეუწყონ ხელი ჯარის კულტურულ მუ-  
შაობის აღორძინებას, რომ ყოველი ჩვენი ჯარის  
კაცი და ყაზარმიდან სახლში დაბრუნებისას მად-  
ლობით მოიგონებდეს თავის უფროსებს და მის  
ყაზარმაში გატარებულ დროს.

ქართველი ვერი მუდამ იყო სწავლა-განათ-  
ლების მოტრფიალე და დღეს ჩვენი ნორჩი ჯარი  
გაშლის თავის ეროვნულ ნიქს და შეეცდება და-  
ამტკიცოს კულტურული სიმტკიცე და მოვალეო-  
ბა თავის ერის წინაშე და ამ დაუღლავ სულიერ  
განვითარებაში, ჩვენი გონიერი მთავრობა ლამაზ-  
რივით წინ გაუძღვება ჩვენ ნორჩ ჯარს და სახე-  
ლოვან გვარდიას და ჩვენს სამშობლოს სამშვიდო-  
ბოზე გაიყვანს.

მაკარი რუსიშვილი.

## ს ი ზ უ ვ ა.

თქმული მესანგრე ათასეულის თეატრის გახსნაზე  
28 ოქტ. 1920 წ.

თავისუფალ საქართველოს მშვიდობიანი ცხო-  
ვრების გუშაგო, თქვენ, რომელთაც დაკისრებული  
გაქვთ მძიმე და მაღალი მოვალეობა სამშობლოს  
დაცვისა, მოგილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს  
მესანგრე ათასეულის თეატრის გახსნას – და გისურ-  
ვებთ, რომ ლამაზარი, ამ სქელ კედლებ შორის დან-  
თებული, იმდენათ ძლიერი გამომდგარიყოს, რომ  
თავისი მაღლიანი სხივები შეეშუქებინოს ჩვენი მა-  
მულის ყველა კუნჭულში!

მამულიშვილნო! დიადია ეს წუთები არა მხო-  
ლოდ ცალკე აღებული, ისტორიულია მთელი ჩვე-  
ნი ეპოქა, უჩვეულოა თვით ის მოვლენა, რომე-  
ლიც დღეს თქვენი მონაწილეობით ხორციელდება.  
ახალ საქართველოს მზე იმდენათ მცხუნვარე გამო-  
დგა, რომ მან ღიმილი მოჰგვარა თვით ამ ბებერს  
დანესტიანებულს, სევდიან კედლებსაც კი, რომელ-  
თაც ათეული წლების განმავლობაში ეხეთქებოდა  
მარტოოდნ მძიმე ოხვრა დამონებულ და მანქანად  
ქცეულ ადამიანებისა. თავისუფალ საქართველოს  
მზემ გაჰფანტა ის ყაზარმული ბურუსი და მის სა-  
ნაცვლოდ სიხარული ააქაშაშა!

აღორძინებული სამშობლო აფასებს თავის ერთგულ შვილებს, თავგანწირული მისი კეთილდღეობისათვის და დღევანდელ მძიმე პირობებშიაც აწვდის მათ სიცოცხლის გამაფერადებელი თილისმას —სწავლა-განათლებას. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ჯადოთავანი, რომელიც ხიბლავს ადამიანს და გართობის სახით თვალს უხეკს ცხოვრებაზე, არის თეატრიც. თეატრი წარმოდგენა ყოველთვის ითვლებოდა საუკეთესო გასართობად და ხალხის აღმზრდელ საშუალებად. დღეს საქართველოს ყველა დაბა ქალაქებში გამართულია თეატრები. სოფლებშიც ცდილობენ და აწყობენ კიდევ წარმოდგენებს. მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ დააკანონა და რესპუბლიკის მხედრობის ყოველ ნაწილში დაარსა თეატრები და ამაზე დიდძალ ფულს ხარჯავს. ყველა შეეხარება თეატრის გახსნას, ყველა ქებადიდება ასხამს მოთამაშეთ —აქედანაც ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თეატრს, როცა ის ასეთი ყურადღების საგნად გამხდარა.

რა არის თეატრი? საიდან წარმოიხდგა იგი? რა მნიშვნელობა აქვს არსებითად? —თეატრი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მომრგვალებულ მაღალ ადგილს წარმოდგენისათვის, ხალხი მაყურებელი კი მოთავსებულია პირდაპირ დაქანებულ ადგილზე, რომ ერთმანეთს არ დაუშალონ მოთამაშეთა დანახვა. ძველ დროში წარმოდგენები იმართებოდა ცის ქვეშ. პირველად ქეიფის ღმერთის ბახუსის სადიდებად ფერხულს უვლიდნენ მგალობელნი ორ წყებად, მერე თანდათან აქედან დაიწყეს ცხოვრების სხვა შემთხვევების გადმოცემაც. თეატრი ძალიან განვითარდა საბერძნეთში ორი ათას ხუთასი წლის წინად, სადაც გაჩნდნენ პირველი წარმოდგენის წიგნების დამწერლები —დრამატურგები: ეს ხელი, სოფოკლი, ევრიპიდე და არისტოფანე. ახალ დროში ოთხასი წლის წინად საქვეყნოდ გამოიჩინა თავი ინგლისელმა დრამატურგმა შექსპირმა, რომლის თხზულებებიც ნათარგმნია ყველა განათლებულ ხალხის ენაზე. ქართველებსაც გვყავს ჩვენი დრამატურგები: გ. ერისთავი, ა. ცაგარელი, დ. კლდიაშვილი, ი. გედეგანიშვილი და სხვ., რომლებიც თავისი ნაწერებით ასაზრდოებენ ქართულ თეატრს.

თეატრის მნიშვნელობა, როგორც მოგახსენეთ, დიდია. ნიჭით დაჯილდოვებული მწერლები, ჰკვიანი და დაკვირვებული ხელოვანება, ამჩნევენ ცხოვრებაში კეთილ და ბოროტ მხარეებს, სწერენ წარმოდგენის წიგნებს —პიესებს, რომელთაც თეატრის მუშაკი —მსახიობები, ისე ცოცხლად წარმოადგენენ თქვენს წინაშე, თითქოს ახლა ხდებოდეს მოქმედება. თეატრის იარაღია ხალხის ხასი თის გასაკეთილშობილებლათ ორ-პირი მახვილი, სიცილიტირილი. არის წარმოდგენები, რომლებიც სიცილს იწვევენ, დაცინვას. ცხოვრების წვრილმანობა, რო-

მელზედაც თავს იტყვის ადამიანის უმნიშვნელო ხდება თქვენს თვალში, რომ იმაზე ფიქრიც კი არ ღირს, და თქვენ სიცილი გფლობთ. ეს სასარგებლოა, რამდენათაც გავიწყებთ ცხოვრების სიდუხჭირეს და კიდევ უფრო დაკვირვებით ექცევით საკუთარ თავს, რომ თვითონ არ შეიქმნეთ სასაცილონი. ასეთ წარმოდგენებს ეწოდება კომედიები.

არის წარმოდგენები, ცხოვრების გაჭირების გამოჩნხატველნი, მონაწილენი ჩავარდნილან გამოუვალ მდგომარეობაში, რბრძვიან, იღუპებიან. თქვენ გულის ფანჯალით შეჰყურებთ წარმოდგენის მსვლელობას. თქვენ ცრემლი გერევთ, თანაგრძნობის ჟრუანტელი გივლით, ზოგჯერ ზიზღის კბილის კრაქუნიც. სიყვარული, სიძულვილი, შურისძიება, ღალატი —ეს თავისი სიგრძე-სიგანით სდგება თქვენს წინაშე და ისეთი ძალით გეცემთ თვალში, რომ არასოდეს აღარ დაგავიწყდებთ. ამ რიგად სრულიად ძალდაუტანებლად, უტკივრად, უტანჯველად თქვენ განიცდით ცხოვრების მრავალ უარყოფით და დადებით მოვლენას და გამოცდილებას სიბრძნით მდიდრდებით. ამ თვალსაზრისით თეატრი უპირველესი და უმნიშვიდველესი სკოლაა. თეატრი სარკეა, რომელშიდაც ისახება ცხოვრების ავ-კარგი, სიმახინჯე, მშვენიერება. მაყურებლებს გვებადება გადაწყვეტილება, ავი მოვიშოროთ, კარგი დავიხლოვოთ და მით ჩვენი წუთისოფელი სიამოვნების შუქით შევმოსოთ. ამ მეორე გვარს, სევდის მომგვრელ წარმოდგენებს, ეწოდება საზოგადოთ დრამები. როგორც დრამები, ისე კომედიები, ემსახურებიან ერთს მთავარ მიზანს —ხალხის ხასიათის გაკეთილშობილებას.

ადამიანის ცხოვრების დანიშნულებაა —უკეთესისადმი მისწრაფება, ამას ემსახურება სახელმწიფო, უნდა ემსახუროდეთ თქვენც. აქეთკენ არის მიმართული მთელი გეზი ახალი საქართველოს ხომალდისა. რაც შეიძლება უკეთესი მოქალაქე, შეძგნები თავის ღირსებისა და მოვალეობისაც მოყვასის მიმართ —აი უმთავრესი რაც გავგიფერადებს ცხოვრებას და მოგვცემს საშუალებას ვიდგეთ „ერთად სხვა ერთა შორის“ და შეიძლება მათ მეთაურადაც.

ამიტომ უნდა ყოველ პირობებში შევიძლოთ საამისო მსვლელობა. ჩვენი დღევანდელი დღესასწაულიც ამ მთავარ აზრის განხორციელებაა. ახალი საქართველო, ძველი სულიერი საუნჯის მდიდარი მემკვიდრე, იმის ცდაშია, რომ თანასწორად მოეფინოს კეთილდღეობის მზე მის შვილებს, სადაც არ უნდა იყონ ისინი, სოფელში თუ ბრძოლის ველზე, ყაზარმაში თუ სასწავლებელში. ერთი ასეთი სინათლის წყარო არის თეატრიც, და ტკბილი დედა-საქართველო მოგიწოდებთ თქვენ, თავის საყვარელ შვილებს: დაეწაფეთ ამ წყაროს ხარბად,



სანამ ხართ ათასეულში; ყველა კუთხის შვილები აქ ეზიარებით ახალ ცხოვრების მაცოცხლებელ წვეთებით. თქვენ აქ დახელოვნდებით, და როცა ბევრა-მოხდინი სოფლებში დაბრუნდებით, იქაც ანთებთ ასეთივე ლამპრებს. და მთელი საქართველო უფრო სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით გაექანება განვითარების მწვერვალებისკენ.

მამულიშვილო! საქართველოს ბევრჯელ დადგომია შავი დღე; მტრების გველეშაპს ბევრჯელ მიუვლია საზიზღარი კბილები მის კეკლუც მკერდისთვის, მაგრამ განათლებაზე ფიქრი ქართველს, არასოდეს არ დაუგდია. ცალ ხელში ჯვარი—სიმბოლო განათლებისა, მეორეში ხმალი თავდაცვის საწინდარი—ეს იყო საქართველოს ცხოვრების შინაარსი ძველად. ახალ საქართველოსაც ცალ ხელში განათლების ძლიერი ჩირაღდანი უჭირავს, საერთო კეთილდღეობის იდეალისკენ გამოქანებული, მეორეში—გაღმასებული მახვილი, რომელიც მზის სხივებივით ფანტავს შავ ღრუბლებივით შემოდებული მტრების ურდოებს. მზე ღრუბლებში—აი სახე დღევანდელი საქართველოსი. და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ღარბი თეატრიც, თავისუფლების მზით გაბრწყინებული გადაიქცევა ის ჩვენთვის იმ მანათობელ ლამპრად, რომელიც გავგვიადვილებს მომავალში ცხოვრების ძნელად გასაველ ბილიკების გაკვლევას და მათზე მარჯვედ სიარულს საბოლოო მიზნის—ნამდვილ ადამიანობის—მისაღწევად!

მაშ სალამი და დღეგრძელობა ჩვენს ნორჩს ახლად ფეხადგმულ თეატრს, დიდება სამარადისო ჩვენს სულის ჩამდგმელს, სათაყვანო დედა-სამშობლოს!

მასწ. სავლე აბულაძე.

## იქ სამოთხეა.

მანამდე შენც კარგი იყავ  
სანამ არ გამობდი ყმობასა  
დღეს კი არ ღირხარ არაფრად  
ჩემთან რომ ფიქრობ ძმობასა.

—ძლიერ მიყვარდით მედაჩემმა ღმერთმა, ყველა ქართველები. პატიოსანი, გამტანი, და სტუმართ მოყვარე ხალხნი, მაგრამ ამ ორ წელიწადში ისე გამოიკვალეთ ყველანი, რომ, კიდევაც მეჯავრებით.—ამას მეუბნებოდა ერთი გავლენიანი რუსის ქალი, რომელიც 1918 წელში რუსეთისაკენ მიემგზავრებოდა ბარგი-ბარხანით.

—რა დავაშავეთ, ნეტავ, შესაჯავრებელი?—დაბალი კილოთი შევეკითხე მე.

—როგორ! თქვენც ამბობთ, რომ რა დავაშავტო? თუ დღემდე კარგი იყო რუსეთის ჯარი,

დღეს-კი როცა მტერი დაგიმარცხა და შენც დასაჯა, ეხლა გარეკეთ აქედან. ეს არსებობდა ის და თითქოს კიდევაც წყენია, რომ ჩვენ გვშორდებათ, ისე აცრემლებული თვალებით შემომჩერებოდა.

მეც ყოველ მის პასუხზე ისე უპასუხებდი ხოლმე, როგორც თვითეული თქვენგანი, ჩემო მკითხველო. ცოტა არ იყოს მეც ვნანობდი მის მოცილებას, მაგრამ ჩემი ერის გამოქომაგება მაინც ვიკისრე.

—რა კარგები იყავით ქართველები 1917 წლამდე, ნეტავ ეხლაც იგრე იყოთ, ყველაფერი დულდა, ყველგან მშვიდობიანობა და ბედნიერება სუფევდა და ერთი სიტყვით საქართველო ერთ პატარა ბაღს წარმოადგენდა ხოლმე!—მითხრა მან ბოლოს და ერთი მაგრად ამოიხზრა.

—მისმა მშვენიერმა სახემ და ასეთმა ლაპარაკმა ისე იმოქმედა ჩემზედ, რომ კინაღამ უთხარი „ჩვენ ქართველები დამნაშავე ვართ იმაში, რომ თქვენ ძველებურად ვერ გემსახურებით მეთქი“.

აბა წარმოიდგინე მკითხველო ჯარის-კაცნო, რა უნდა გეთქვა შენ ისეთ მშვერიერებისათვის ჩემს ალაგს რომ ყოფილიყავით. უეჭველია გეწყინებოდათ როცა ასეთი მარგალიტი გვტოვებდა და თან გვისაყვედურებდა, რომ არ მივიღეთ და არ ვემსახურეთ მას.

—ნუ მიგვატოვებ თქვენ არავინ მიგრეკავთ აქედგან, ღარჩით და ხომ იცით დღეს თავისუფლება, და თავისუფალ სახელმწიფოში თქვენი ინტერესებიც დაკული იქნება“.—მორიდებით მოვახსენე მე და თავი ჩავღუნე.

მან ჩემ სიტყვებზე სიცილი დაიწყო, მაგრამ სიცილიც ბევრ გვარია ჩემო მკითხველო, სიცილში ყველაფერი შეიძლება კაცმა გაიგოს, სიცილი ადამიანის გულის სარკეა, რომლითაც დაინახავს რა უღდევს მას გულში. და სწორედ მის სიცილში გამოიხატებოდა დიდი დაცინვა ჩვენზე, რომელიც გამოიხატებოდა ჩვენს სახელმწიფოდ არსებობის შეუძლებლობაში.

ის სიცილი ამბობდა „რაა თქვენი სახელმწიფო ვის უნახავს ურუსეოთ საქართველოო“ და სხვები.

ჩვენი ლაპარაკი დიდხანს გავრძელდებოდა, რომ მატარებლის წასვლის დრო არ მოახლოვებულყო.

—მაშ გადასწყვიტეთ არ რჩებით?—უთხარი მე და მოვემზადე დასამშვიდობებლად.

არა და არა, რა მინდა აქ ჯოჯოხეთში, როცა იქ სამოთხეა“—მითხრა მწარე ღიმილით მან და ხელი გამომიწოდა.

—ღმერთო ჩემო, რა კობტა ხელები აქვს, რა მშვენიერი ტუჩები, რა ლამაზი ღოყები?! მართლაც რომ ანგელოზია და სამოთხეშიც იმიტომ

მიდის, ალბათ—გავიფიქრე მე და მის ხელს ორივე ხელები მოკვიდე. მან ერთი ისეთ ნაირად შემომხელა, რომ მთელი ჩემი არსება გაანადგურა.

—„ნეტავ მეც რუსი ვიყო, რომ შენთან ერთად სამოთხეში მეც წამოვსულიყავი“—მინდოდა მეთქვა მაგრამ მომაგონდა მგონის სიტყვები „თვის ტომის დამწუნებელსა ჭირი მოუა კარხედაო“ და და გავჩერდი.

მანც იგრძნო, რომ მე არა ჩვეულებრივ გულზედ ვიყავი, და თითქოს მიმიხვდა გულის ფიქრებსა მითხრა.

—შენ ისეთი კერპი გული გაქვს, რომ არ მიატოვებ შენს გეგეჰკორის პარტიას თორემ განა ჩემთან შენც არ შეგეძლო იმ სამოთხეში შესვლა?

ამ სიტყვებმა უფრო ცეცხლს მიმცეს. შევედი რჩევაში. „სამოთხე თუ „ჯოჯოხეთი“ ვამბობდი გულში. მაგრამ ბოლოს ისევ სხვა აზრებმა გაიქროლეს ჩემს გულში:

შე ოხერო ჩემო თაო სამი წელიწადია რუსეთში იყავი. იცი იმათი ხასიათი, ზნე, ჩვეულება და ნუთუ ისეთი ხალხი დღესვე „სამოთხეთ“ აქცევდა რუსეთს?“

ამ აზრებმა მომაგონა უფრო სხვებიც. და ისეთ სიღრმეში შევიჭერ რომ, ძლივსა დავაღწიე თავი.

—„არა ნუ ჩქარობ იქაურ სამოთხეს, აქაური ჯოჯოხეთი ეჯობინება“, მითხრა გულმა და ამდენხანს ხელი-ხელ-მოკიდებულმა ეხლა მოვინდომე, ხელის გამორთმევა.

—მშვიდობით ძვირფასო, შენ ყველა ქართველებს სჯობინარ. მითხრა მან და ყელზედ წომეხვია. ორ-სამხელ მაკოცა (მე კი ვერაფერი მოვახერხე) და თვალებიდან ცრემლები ჩამოცვივდა. როგორც იყო იავცილდი მას და სადგურის ბაქანზე ვიწყე სიარული ნუ გაიკვირვებ მკითხველნო თუ დაღონებული ვიქნებოდი, იმიტომ რომ ჩემი ძვირფასი მარგალიტი სამოთხეში წამივიდა.—„ნეტავ მართლ ნიკოლოზის დრო ყოფილიყო“. გავიფიქრე გულში. მაგრამ ნიკოლოზის დროს აბა როდის მკადრულობდა მე ნუსია? ამ ერთ წელიწადში გავხდი ღირსი მისი დაახლოვებისა და ეხლა ის მიდის, არ მოსწონს ეს წყობილება. რაქნა ნიკოლოზის დროს ჩემი ხელმისაწვდენი არ იყო. არ მიკადრებდა, ლენინის დროს ის აქ არ დგება „სამოთხეში უნდა წავიდეთ“ და აბა აღარ ვიცი რა ვქნა. გავბალშევიკდე?!. არც ეს შემიყვანს სამოთხეში და აბა რა ვქნა?!“ ასეთი იყო ჩემი ფიქრები და ნურც გავიკვირდებათ ჩემი ასეთი მოქცევა რადგანაც, ისეთი მალი წოდების ახალგაზრდა ქალი ბედმა დამიახლოვა და წესწყობილებამ კი დამაშორა.

—„მშვიდობით, მშვიდობით“. ვთქვი მე ჩემ გულში და ბინისაკენ წავედი.

ზღვის პირას ვარ გაქცეული ალერსიანად შევეყურებ იტალიის სანაპიროებს ის არის უნდა მოადგეს ნავთსადგურს.

—„ღმერთო ჩემო“ ეს გემი ხომ გამოივლიდა, იმ სამოთხეში სადაც ორი წლის წინად მრავალ მარგალიტთა შორის ჩემი ტურფაც წავიდა!

გემი ნაპირს მოადგა, გადმოვიდა ხალხი შეიქმნა ფაცა-ფუცი. ვინ ეტლებს ეძებს, ვინ გადამტანს და სხვას.

—„თფილისისაკენ მატარებელი რა დროს გადის?—მკითხა ვილაცამ გვერდით.

—„ლამის თერთმეტ საათზე“ უბასუხე მე გვერდზე მიუხედავთ.

—„უჟაცრავად ყმაწვილო, არ შეიძლება აღმოგვიჩინოთ დახმარება და ეტლს დამიძახოთ“.

მე მაშინ მივიხედე და დავინახე ვილაც შავი ტანისამოსიანი ქალი პირზე ბლომათ შეპურული.

—„თქვენ სად მიბრძანდებით“, შევეკითხე მე. მე ტფილისში მივდივარ, ჩემი სამშობლო იქ არის, ნაღვლიანად მითხრა მან, მე აღარ დავიხარე მისი პატარა ჩამადნის წამოღება და რადგანაც ეტლი არ იშოვებოდა სადგურისკენ წამოვედით თქვენ საიდგან მოდიხართ? შევეკითხე მე.

—„მე? მე ეხლა კონსტანტინებოლიდგან“.

—„იქ რა გინდოდათ?“ იქაური ხართ?“

—არა მე რუსი ვარ რუსეთიდან გავიქეცი დედ-მამა დამეხოცა და მე დავრჩი კონსტანტინებოლში. იქიდან ამ გემს გამოვეყევი, ეხლა თფილისში მივდივარ იქ მოკეთებები მყავს. ამბობენ „საქართველო სამოთხეთ გადაიქცაო“ და ვნახო იქნებ გული მაინც დავამშვიდო აქ“.

—„როგორ რუსეთში გლახა საცხოვრებელია?“ გაკვირვებით ვკითხე მე.

—რუსეთში? რუსეთი დღეს ჯოჯოხეთია და არა „დედა რუსეთი“.

—„თფილისში თქვენ ნამყოფი, ხართ“. ვკითხე კიდევ.

—როგორ არა ორი წლის წინად წავედი იქედგან, ნეტავ არ წავსულიყავ? მაშინ ბედნიერი ვიყავი და დღეს კი სულ სხვა ნუსია ვარ!!.

—როგორ?! შენ ნუსია ხარ? ის ნუსია მე რომ ანგელოზათ მიმაჩნდი?

აღელვებით უთხარი მე და თვალეში შევეხედე, მაგრამ ვაი, რომ მისი თვალეები იმ ნუსიას თვალეებს არ ჰგავდა. ის მთლად მიმქრალიყო, ჩაცვენილიყო და სიღრმიდგან გამოიყურებოდნენ.

—ღმერთო! შენ ხარ!? ჩამეკონგ გენაცვა, მომიალერსე, ხომ გახსოვს გამოთხოვების დროს როგორ მეალერსებოდი! მითხრა მან და იქვე ქუჩაში ჩამეხვია, და ტირილი დაიწყო, თუმცა სიტყვებს არ ამბობდა ისე ქვითინებდა მაგრამ; კაცი



ისეც ბევრს მიხვდებოდა. „დღეს აღარ ვარ ლოცა წითელ ნუსია, დღეს არა ვარ ისეთი ქორთა ვარდი, როგორც მაშინ ვიყავი და ყველა ჩემს მოწყვეტას ლამობდა, დღეს ვარ. ერთი მეძავი ქალი, რომლის პატრონი მხოლოდ ქუჩაა. ქუჩა. მრავალი ჩემისთანები შეეძინენ ქუჩას და გახდნენ ქუჩის შვილები“, ამას ამბობდა მისი ქვითინი და ამასვე ამოიკითხავდით მის ცრემლებში.

—მატარებლის ბილეთი უყიდე და ღამის 11 საათზე ბათომიდან თფილისში გამოვისტუმრე.

—აი სად ყოფილა სამოთხე!—ვამბობდი და ვამბობ ეხლაც მე.

ხანდახან როცა მომაგონდება მისი დამცინავი სიცილი, რომელიც მწარედ მოხვდენ ჩემ გულს— ვიტყვი „ახი არის მაზედ მეთქი“. მაგრამ როცა ადამიანურად დაუკვირდები და ჩავიხედავ იმ ცხოვრებაში, რომელიც ოთხი წელია გრძელდება რუსეთში. წარმოვიდგენ ასეთ მაგალითებს, და უღანაშუალო მსხვერპლებს, მაშინ გული ამიყურდება და მწარე ცრემლები, ჩამომცვივიან ხოლმე თვალეზიდვან.

მე თუ ამას ვგრძნობ და აგრე მემართება, დეე მკითხველიც— ხუთი წუთით დაფიქრდეს იმ ცხოვრებაზედ, რომელიც მრავალ მსხვერპლს იწირავს, და გადაჭრით მითხრას—სად არის სამოთხე?

საწყალი მუშა.

## კვირიდან-კვირამდე.

**გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდულად იცნო.**

სომხეთის მთავრობა ერევნიდან გუმბარში გადავიდა გუმბარის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა.

**ყარსის აღები.** 4 დღის ბრძოლის შემდეგ, როგორც სომხეთის მთავრობა იუწყება, ოსმალებმა ყარსი აიღეს. სომხეთის ჯარი გუმბარისკენ იწევს.

კერძო ცნობებით, ყარსში ოსმალებს 50 სომეხი დაუხვრეტიათ.

**მოწაფეთა მობილიზაცია.** გაზ. „ჰარაჰ“-ი გადამოგვცემს: სახალხო მინისტრთან შეთანხმებით „დაშნაკტუტუნის“ პარტიამ გადასწყვიტა, რომ ყველა მოწაფეები 15 წლამდე ჩაირიცხნენ სკაუტების რაზმში, ხოლო 15 წლის ზევით—კი—სტუდენტთა გვარდიაში. ყველა—ესენი მთავრობის განკარგულებაში იქნებიან.

**თავდაცვის რაზმები:** ერევანში, სამხედრო კომენდანტის განკარგულებით ყველა ჯანსაღი მამაკაცი 50 წლამდე ვალდებული არიან თავდაცვის რაზმებში ჩაეწვიონ ამ განკარგულების დამრღვევნი პასუხისგებაში მიეცემათ.

**ბაქოს ნავთი.** ნავთის მრეწველთა კომიტეტის გეოლოგიურმა განყოფილებამ გამოარკვია, რომ ბა-

ქოში ახლანდელის რაოდენობის მქონე ნავთი საბჭოთა რუსეთს საქართველოდან წელს და მერმისს. ხოლო 1920 წლის დასაწყისში კი იმდენი ველარ დამუშავდება რომ რუსეთის მოთხოვნოვნილებას გასწვდესო. ამისათვის გადაუწყვეტიათ მოახდინონ კვლევა-ძიება ახალ ნავთიან ადგილებისა.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე ვ. რამიშვილი** და ბათომის ოლქის საგანგებო კომისარი განსაკუთრებულის მინდობილებით ბათუმში გაემგზავრნენ.

**დამფუძნებელ კრებაში.** 5 ნოემბერს საღამოთი 7 საათზე შესდგა სასწრაფო სხდომა დამფუძნებელ კრებისა.

საქართველოში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავარი წარმომადგენელი ა. შეინმანი 2 ნოემბერს ბაქოში გაემგზავრა.

**თოვლის ზვავი.** სამხედრო გზაზე კობისა და ჯვარშუა დიდი თოვლის ზვავებია, მიმოსვლა შეწყვეტილია.

**აჯანყება პეტროგრადში.** პეტროგრადში 2 ნოემბერს კრონშტატის მეზღვაურნი 1400 კაცი მუშების დახმარებით აუჯანყდნენ საბჭოთა მთავრობას. საშინელი სისხლის ღვრა მოხდა პეტროგრადის ქუჩებზე. მოჰკლეს 140 მეზღვაური აჯანყება ჩაქრეს. საბჭოთა მთავრობამ 53 მეზღვაური დახვრიტა.

**აჯანყება მოსკოვში.** 5 ნოემბერს ცნობა მოვიდა, რომ მოსკოვში ხალხი აუჯანყდა მთავრობას პურის რაციონის შემცირების გამო. აჯანყებულებს წითელი არმიელები ემხრობიან. მოჰკლეს 2 კომისარი. არეულობა გრძელდება.

### მთავრობაში.

მთავრობამ დაადგინა: შედგენილ იქმნას კომისია მომარაგების სამინისტროს თავმჯდომარეობით სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა კოოპერატივისათვის დახმარების აღმოსაჩენათ დასახელებულ კომისიაში უნდა შევიდნენ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები და სახელმწიფო კონტროლიორი.

### რეზოლიუცია მთავარ შტაბის მუშაობის შესახებ.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენებები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მთავარ შტაბის მუშაობის შესახებ, აღიარებს: მთავარი შტაბს უხდებოდა მუშაობა მეტათ რთულსა და არანორმალურ პირობებში, რის გამო აუცილებელი იყო დეფექტები, მიუხედავთ ამისა, მან შესძლო პირნათლად და ღირსეულად შეესრულებია,

როგორც გვარდიის მთავარ ხელმძღვანელს, ის დი-  
დი მოვალეობა, რომელიც გვარდიას ისტორიამ  
დააკისრა, რისთვისაც ყრილობა მას მაღლობას უც-  
ხადებს.

ამავე დროს, რათა გვარდიის მუშაობა უფრო  
ნაყოფიერი იქნეს მომავალში, ყრილობას საჭიროთ  
მიაჩნია:

1) გვარდიაში განმტკიცებულ იქნეს მაგარი  
დისციპლინა და შემოღებული სასტიკი პასუხისმგე-  
ბლობა, როგორც შტაბებისა, ისე უფროსების და  
გვარდიელების.

2) ოფიცრობის და საერთო სამხედრო პირე-  
ბის აღზრდის საქმეს განსაკუთრებითი ყურადღება  
მიექცეს.

3) სავლელე შტაბების შემოღება და მათი უფ-  
ლებრივი ჩამოყალიბება.

4) სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გაფართო-  
ვება რაიონებშიაც.

5) კულტურული მუშაობის გაძლიერება და.

6) კანტროლის გაძლიერება, როგორც მთა-  
ვარ შტაბის მუშაობაში, ისე საოლქო და სარაიონო  
შტაბებში და აგრეთვე მუდმივ ნაწილებში, რის-  
თვისაც მთავარ შტაბს ეძლევა წინადადება დაარ-  
სოს თავის წევრის ხელმძღვანელობით საკანტრო-  
ლო განყოფილება და აგრეთვე ეთხოვოს სახელ-  
მწიფო კანტრალიორს გააძლიეროს სახელმწიფო  
კანტროლი გვარდიაში.

**ეროვნულ-დემოკრატიის მოღვაწეობა.**

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ დამ-  
ფუძნებელი კრების წევრს ერ. დემ. პარტიის ლი-  
დერს ბ-ნ გიორგი ბეჟანის ძე გვაზავას ფინანსთა  
სამინისტროს ნებართვით სომხეთიდან ტრანზიტით  
ოსმალეთში უნდა გაეყვანა ათი ათასი სული ხარი  
და ძროხა. ნამდვილად კი ეს ოთხ ფეხი საქონელი  
გვაზავას გაჰყავს საქართველოს საზღვრებიდან, გუ-  
შინ ეს საქონელი, რომელსაც გემზე სხამდენ სა-  
ხალხო გვარდიის საოლქო შტაბის განკარგულებით  
დაკავებულ იქმნა და ამ საქმის გამოძიება დაიწყო.

**პროფესიონალურ კავშირებში.**

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტა-  
რიატისა და საქართველოს პროფ. კავშირთა საბ-  
ჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებულ  
სხდომამ დაადგინა: აჩსებულ ეკონომიურ პირო-  
ბებში ჯამაგირების მომატება ბონების საშუალებით  
ცნობილ იქნას მიზანშეუწონლად. მთავარი ყურად-  
ღება მიქცეულ იქნეს მუშათა უზრუნველყოფის  
პირველ საჭიროების საგნებით. ამ მიზნით წინადა-  
დება მიეცეს შრომისა და მომარაგების სამინისტ-  
როებს: გაადიდონ პურის რაციონი 1 1/2 გირვანქამ-  
დე, დაუყონებლივ შეუდგენ სხვა პირველ საჭი-  
როების საგნების დარიგებას, მიეცეს სესხი მუშათა

კოოპერატივებს, სოფლებში სურსათის შესასყიდათ.  
თუ ათ დღეში ზემოთ ნახსენებში სოფლებში სისრუ-  
ლეში არ იქნება მოყვანილი, სულსაქონელად დაისვას  
ეს საკითხი ამავე თათბირის წინაშე. ამ ზომების  
ცხოვრებაში გატარების მიზნით, აირჩეს 3 კაცისა-  
გან შემდგარი კომისია და დაევალოს მას ხსენებულ  
ზომების ცხოვრებაში გატარება. კომისიაში არჩეულ  
იქნენ: შ. აბდუშელიშვილი, ჩხენკელი და ბერე-  
ყიანი.

**ბ ა თ ო მ ი.**

—ბათუმში და მის ოლქში პანთურქელებმა  
შემდეგი პრავაკაციული შინაარსის პრაკლამაციები  
მოჰფინეს:

პატივცემულნო მამულიშვილნო!

რამოდენიმე თვის განმავლობაში თქვენი გა-  
ჭირვებისა და უკიდურეს მდგომარეობის სიმწარის  
ხმა ჩვენც შეგვესმა. სამშობლოსადმი მოვალეობის  
შესასრულებლად დღეს თქვენთან მოვდივართ და  
ხელს გიწვდით, უფრო მეტად დასაახლოვებლად,  
აქაურ ამხანაგებთან ერთად ჩვენ უკვე შევერთდით  
მუშაობის გასაჩადებლად. ღვთის შეწევნით, ჩვენ  
მალე, სულ მალე, დედა სამშობლოში, სარწმუნო-  
ებისა, ხალხისა, უფლება-ქვემარტების მტრებთან  
უნდა ვიბრძოლოთ. ყოველ შემთხვევაში დემრთი  
ჩვენთანაა! ჩვენი მტრების აგიტატორთა სურვილე-  
ბი და მისწრაფებანი უკვე მოგვხსენდა! სკოლების  
დამხურველი მტერი თავის ხიშტით პირდაპირ სარ-  
წმუნოებას ჰგმირავს. არ დაგავიწყდეთ! ჩვენ მოვ-  
სულვართ და გამარჯვებაც მოვიტანეთ. მოთმინება  
მუსულმანებისა უწმინდესი ღირსებაა, ცოტაც მოგ-  
ვითმინეთ, მტკიცედ დეკით და თქვენი უფლებე-  
ბი დაიცავით. ყოველ შემთხვევაში, ბევრი დრო  
არ გავა და ღვთის დახმარებით მტერი დამარცხდე-  
ბა და გაიხარებს მუსულმანობა! გამარჯვებათ, მუ-  
სულმანებო!


1 ოქტომბერი, 336 წელი, ბათუმის წარმო-  
მადგენლები:

თევზი, აქიფ, აჰმედ, ნურიდინ.

**სამხედრო სასამართლოს სესია.**

ნოემბრის 5-დან—9-მდე. სამხედრო სასამარ-  
თლოს სესია არის დანიშნული. ამ დროის განმავ-  
ლობაში, სხვათა შორის, განიხილავენ ახალციხის  
ფორტის ყოფილ მთავარსარდლის გენ. მაზნიაშვი-  
ლის საქმეს. აგრეთვე გაირჩევა საქმე მისი შტაბის  
უფროსის ჯიჯიხიასი, რომელსაც დაუდევრობა  
ბრალდება. გაირჩევა აგრეთვე სხვების საქმეც, რომ-  
ლებსაც ბრალდებათ სამხედრო ბრძანებების აუს-  
რულებლობა ახალციხიდან 1919 წ. თებერვალში  
უკანდახვეის დროს. ბრალდებულთ იცავენ ნაფ.  
ვექ. მესხიშვილი, ბარათაშვილი, ჯავახიშვილი და  
სხვები.





### არეულობა წითელ არმიასში.

ის სისწრაფე, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა რუსეთმა პოლონეთთან ზავის ხელშეკრულობის დადებაზე აიხსნება, სხვათა შორის იმიტად, რომ წითელ არმიელთა ფრონტზე არეულობა იყო და საბჭოთა მთავრობას ამის შესახებ ძალიან ეშინოდა. ამას გარდა თვით საბჭოთა ჯარების შორისაც დიდი პანიკა იყო გამეფებული. წითელ არმიელებს ეშინოდათ რომ პოლონელები გაიმარჯვებენ და მიწასთან გაგვასწორებენო. შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ ტროცკისთან წითელ არმიელებიდან დღევგაცაა მისულიყო და ეთქვათ, რომ თუ მთავრობა არ შეჰკრავს ზავს პოლონეთთან, მაშინ თვით ჯარის-კაცები დასდებენ ზავსო. ამის გამო ტროცკის ბრძანებით დახვრიტეს რამდენიმე ჯარის-კაცი. ამან გამოიწვია კიდევ ის რომ, ჯარებმა დახვრიტეს რამდენიმე კომისარი და ამ რიგად წითელ არმიასში დიდი უწყესობა და არეულობა მოხდა.

## ერნესტ ნისი და საქართველოს დამოუკიდებლობა.

ლოხანის გაზეთი ამ ცოტა ხანში გარდაცვლილ სახელგანთქმულ ბელგიის მეცნიერს ერნესტ ნისს წერილს უძღვნის და ამასთანავე იხსენიებს ერნესტ ნისის აზრს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ.

ერნესტ ნისის სახით სწერს გაზეთი საერთაშორისო უფლებების მომხრეებმა დაჰკარგეს ერთი საუკეთესო თავიანთი დამცველი და მისი დაკარგვა ყველასათვის საგრძნობია. მით უფრო საგრძნობი იქნება საქართველოსთვის, რომლის დამოუკიდებლობის საკითხი „საერთაშორისო უფლებების“ დიდებულმა ავტორმა ჯერ ისევ 1906 წელში წამოაყენა.

ერნესტ ნისი თავის წერილში შემდეგს სწერს: „ქართველები იმყოფებიან განსაკუთრებულ პირობებში და მათი ქვეყნის მდგომარეობა — რევოლიუციონურია. ძალმომრეობის აქტი, რომელიც ხდება საქართველოს საქმისთვის არის პოლიტიკური. რუსეთის მთავრობის ბატონობა საქართველოში უსამართლობაა, როგორც თავის პრინციპით, ისე ისტორიულადაც. რუსეთის ბატონობა ეყრდნობა მოტყუებაზე და მთელი საუკუნის განმავლობაში იგი გამოიხატებოდა სასტიკ დესპოტიზმში და ტირანიულ მოქმედებაში.

ცბიერება, სიცრუე, ღალატი — აი რა ახასიათებს რუსეთის პოლიტიკას საქართველოში. ასეთი სასტიკი რეჟიმი საქართველოში გრძელდება მთელი საუკუნე და ამ ხნის განმავლობაში, მისი მიზა-

ნი იყო ქართველ ხალხში ჩაეხშო ყოველივე ეროვნული გრძნობანი განსაკუთრებით რუსული რეჟიმი უღმობელი მტერი იყო ქართველ რელიგიის. მან დაანგრია მისი სკოლები და მოსპო განათლება, მან იგდო საქართველოს მდიდარი ადგილები დაიმორჩილა ახალგაზდა თაობა. მან გაგზავნა შორეულ ადგილებშიც კი (იმერეთში) თავისი რეკრუტები. რუსეთი მსჯავრს სდებდა ქართველ პატრიოტებს და ციხეებში აღპობდა იმ ხალხს, ვინც საქართველოზე ხმას ამოაღებდა. ყოველივე ამას ერნესტისი დასკვნას უკეთებს და ასე ეკითხება რუსეთის მთავრობას: ვინ გაბედავს რომ სთქვას ამბოხება და რევოლიუციონური მოძრაობა არ არის ქართველის ნამდვილი მოვალეობა?..

სექტემბრის 20-ს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ნაციათა ლიგის საბჭოს მდინისაგან წერილი, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ 15 ნოემბრისათვის ჟენევაში დანიშნულია პირველი საზოგადო კრება ნაციათა ლიგის წევრებისა და ამ კრებაზე იქნება აღძრული და გარჩეული საქართველოს რესპუბლიკის ლიგის წევრად მიღების საკითხი. შესაძლოა, სწერდა საბჭოს მდივანი, კრებამ მოისურვოს თქვენი საკითხის შესახებ სიტყვიერი განმარტების მოსმენა, ამისათვის საჭიროა დანიშნოთ თქვენი წარმომადგენელიო.

მთავრობამ ასეთ წარმომადგენლად დანიშნა ამ ჟამად ევროპაში მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, რომელსაც დღესვე ეცნობა დებეშით ამის შესახებ და ფოსტით გაეგზავნა საჭირო მანდატი.

ამასთან ერთად დებეშით და ცალკე წერილით ეუწყა ამის შესახებ ლიგის საბჭოს მდივანს. ყველა საჭირო მასალა საქართველოს შესახებ ჟენევის კრებისათვის წარსადგენად აღრე გაეგზავნა ლიგის საბჭოს მდივანს ბ-ნ დრიუმანს, თანახმად მისი თხოვნისა.

## ქველ ღრთს ზარში.

(სალდათის გაჭირვება).

ორი კვირა შემისრულდა,  
ვარ „უჩებნი კომანდაში“...  
ორი კვირა შემისრულდა,  
ვარ ტანჯვაში, სულ ტანჯვაში!...

ჩემ მშობელ ერს მოწყვეტილი  
უცხოთაგან ჩემს მამულში,  
კლიტულში ვარ დამწყვედული  
და ბაღლამი მიდულს გულში!

მომიტაცეს, როგორც ქორმა  
მოიტაცოს ბოლოშავი,  
მომიტაცეს, როგორც რომ ჯიხვს  
მოიტაცებს თოვლის შვავი!

დამიკარგეს ღღის სინათლე,  
ველარ ვხედავ ლაქვარდს ცისას,  
მთვარის სხივი არ მახარებს,  
ველარა ვგრძნობ სითბოს მზისას!

ღმერთო, რა ღღეს მოვესწარი?  
ნეტავი რა დავაშავე,  
რომ ჩემს თავზე ყოველგვარი  
სივავლაზე მოაზღვავე?...

კაცი ვიყავ, როგორც კაცი,  
ღღეს გამხადე შინაყმადა,  
დამიყენე უფროსები,  
სატანჯველად, ჯალათადა!

მომცეს ხელში ფარჩხის ცოცხი,  
დამაყენეს ეზოს მგველად,  
მიმითითეს იატაკზე,  
გაწმინდეთ, უეჭველად!

მოვიტანე ხის ნახერხი  
და ცივი წყლით მოვამუცელიე,  
ხელი მიურ-მოურიე  
და ძირს მივაბნ-მოვაბნიე.

ძლივს მოვძებნე ძველი მჩვარი,  
დასვრილი და დასრეცილი,  
დავადექი იატაკსა  
წელში ოთხად მოკეცილი.

გულ-მოდგინეთ ვხეხავ, ვხეხავ,  
ოფლით სახე დამეცვარა...  
თავს უფროსი დამდგომია  
და მიძახის: ჩქარა, ჩქარა!

ძლივს ვიმძრევი დაღალული,  
დამებერა საფეთქლები,  
ამტკივდა და დამიმძიმდა  
თავი, წელი და მუხლები.

გავათავე გვიან წმენდა,  
და ნახერხი გამოვგავე...  
აქ უფროსმა დამიძახა:  
„გამოეწყვე, წამს, ახლავე!

უნდა ვნახო, თუ როგორ გაქვსთ  
ტანსაცმელი ყველას ტანზე,  
რომ ლოცვის და ჩაის შემდეგ  
გავემგზავროთ მოედანზე.

და იქ თოფით ვივარჯიშოთ,  
დავხელოვნდეთ სიარულში,  
რომ თავზედ მტერს ბრძოლის ველზე  
ხიშტი ვკრათ და ტყვია გულში!..

დაგვამწკრივეს ერთ გრძელ ხაზად  
და გვიბრძანეს დგომა წყნარად,  
უფროსებმა დაგვეარეს,  
გვიბღვეროდენ შესაზარად.

„ჩექმა რათ არ დაწმინდული  
მე უფროსმა შენგან მოთქვა  
ვუბასუხე: „ვერ მოვასწარ,  
იატაკსა ვწმენდლი“... — „ჰა, ჰა!

მაგითი თავს ვერ იმართლებ,  
ხვალ იქნები „რიგს გარეშე“  
და ახლა კი წინ ხელები  
გამოშალე, გააშეშე!...

ეს რა არის? უსუფთაო,  
წამხდარი და დახეთქილი?!..  
— „რა ვქნა, ამის მიზეზია  
იატაკი დაწმენდილი!“...

„ერთხელ კიდევ „რიგს გარეშე“,  
შენ გახსოვდეს, თანაშემწე!  
მე ღღესა მაქვს ხელში ძალა,  
ყველას თავზე უნდა შევწვე!

ახლა ქუდი მოიხადე!  
თმა რატომ გაქვს წამოზრდილი?  
დააყენეთ თოფ ქვეშ საათს,  
არ მიაღვეს ამ ღროს ჩრდილი!...

ახლა ღილი შეიხსენი,  
ჯვარი რატომ არ გკილია!..  
— „ერთი მქონდა, დამეკარგა,  
მეორე არ მიყიდილა!“..

„კიდევ ერთხელ „რიგს გარეშე“,  
კვლავ მოსწმინდე იატაკი!  
რას ბუბლუნებ? არ გაბედო  
სიტყვის თქმა და ლაპარაკი!...

ეს ქამარი ფამფოდ რათ გაქვს,  
რათ არ გავხარ ჯარის-კაცსა,  
რათ არა ხარ მხიარული,  
ვით შეშვენის გმირს, მამაცსა?

ჰა, არ გინდა სამსახური,  
ჰა სახლ-კარი გაგონდება?..  
დაივიწყე ყველაფერი,  
თვარა სული ამოგხდება!...

იცი სად ხარ?... კიდევ, ვირო,  
ეს რასა გავს, იატაკი?  
ამას ჰქვია დაწმენდილი?  
აგერ მტვერი, ჰე ტალახი!

ცოდვის წიგნში ჩაგიწერავ,  
რომ სამსახურს არ ასრულებ  
და აქედან გამოგრიცხვენ...  
რას მიბღვერი, რას მუყურებ?...

არ ვიმა ჩემი სიტყვა  
და სასჯელი დადებული?  
რას ფიქრობ? სულ ძმარს გაგადენ,  
უფლებსა მაქვს მოცემული!...



რა ვქნა, სიტყვა შევუბრუნო,  
ვიცი, სასჯელს მომიმატებს,  
არა და ვით გადავურჩე  
წაუქცევლად ამდენ კვანტებს?...

სასჯელით ვარ დატვირთული,  
როგორც ბარჯით სახედარი,  
ფფიქრობ ჩემ შავ ცხოვრებაზე,  
რომ მიდგია სულ ავდარი...

ამ დროს ბუკი დააყვირეს:  
„რას უყურებთ, უჩქარეთო,  
მაზარები წამოიხსით,  
აქ გამოდით, სულ გარეთო!“

რა ვუყოთ, რომ წვიმა არის,  
დამწკრივეთ, გასწორდითო!  
თქვენ კი ყველა დაისჯებით,  
ვინც რომ გვიან გამოდითო!

შენ წინ... უკან... რას ცმუტურებ?  
შენ მოგივა საქმე ცუდი...  
წყნარად დადექ? იგრე!  
ახლა მოიხადეთ ყველამ ქუდი!

ივალობეთ ლოცვა!.. ადებს  
ამოდენა ხალხი პირსა  
და მაღალ ღმერთს შეპლადადებს,  
რომ აშოროს ზედმეტ ქირსა!

მე კი ფფიქრობ ჩემს მწარ ბედზე,  
აღარა მაქვს იმედი ღვთის,  
არ ვვალობ და არ ვლოცულობ,  
სული მიშფოთს, გული მითრთის...

„შენ რატომ არ ვალობდიო?“  
თავს დამქუხა სხვა უფროსმა  
და სასჯელი მომიმატა  
იმანაც, იმ ტარტაროზმა.

მალღით წვიმა მოდიოდა,  
ძირს გაჰქონდა შხაპა-შხუპი,  
წვიმით მქონდა გაწკუმპლული  
პირისახე, თავი, შუბლი...

მღვრიე ჩაი ძლივას გაგვხვდა  
თვითეულსა თითო ცლაპი  
შავი პურის ხრამუნითა  
პირს მოგვადგა ყველას ქაფი...

„აბა ჩქარა, გაკვეთილზე,  
არ მოგასწრონ თვლა ათამდე!“  
ბრიყვის ლაქლაქს უნდა ვუგდოთ  
ყური თერთმეტ საათამდე.

არ გასულა ოცი წამი:  
„წამოდექი ზეზედაო,  
წამოავლეთ ხელი თოფებს  
და გავსწიეთ ველზედაო!“

რას ვიზამდით? შევასწავლი  
ეს ბრძანებას უცხოლირთიქა  
გამოვლაგდით და გვაძვევრივდით,  
შევადგინეთ ბევრი პუკარი...

თოფი მზარზე დავიბჯინეთ,  
გავიარეთ ეზოს კარი  
და მინდვრისკენ მივისწრაფით,  
როგორც ტალღა ბობოქარი...

„ხიშტი მალლა!“ „თათი გვერდზე!“  
„რიგში სწორა!“ ჩუ! ხმა... კრინტი!  
მარცხნით... მარჯვნივ! ნელა! ჩქარა!  
და ახლა კი... „ალიღინდი!“

საწყალ ხალხს რა გვემდერება?  
მაინც ვაღებთ პირს, ვიმღვრივთ  
და ვიმოკლებთ გასაღვლელ გზას  
შეწუხებულ გულის ძგვრით!

სიმღერა რო გავათავეთ,  
ჩამოგვექროლა ოფიცრებმა,  
ერთი ორჯელ დაგვიყვირა,  
შემოგვეჭვირტა, როგორც მტერმა.

„აბა, რბენით! მიიჭირეთ  
ყველამ მკერდზე მუტებიო...  
ერთი! ორი! ერთი! ორი!  
გავირბინოთ ქუჩებიო!“

ერთი! ორი! ერთი! ორი!  
შენ რათ მოწყდი ამხანაგებს?  
ხვალ იქნები რიგს გარეშე  
და მოწმინდავ იატაკებს!“...

ჩემი ცოდვა, ჩემი ბრალი...  
ეს რა წყალში გადავვარდი?  
რომ მიყვარდა მაღლა ფრენა  
და ახლა ძირს ჩამოვვარდი!...

გვარბენის დიდხანს, დიდხანს...  
აღარა გვაქვს მუხლში ძალა,  
მოგვიყვანეს ერთ ადგილას,  
იქ უფროსმა გამოგვთვალა...

კვლავ გვაგინა, კვლავ გავვიწყრა,  
დაგვემუქრა, დაგვექადა,  
ჩვენი შავი მომავალი  
უფრო შავად დაგვიხატა.

ჩვენ დავდონდით უფრო მწარედ  
და ჩავქინდრეთ ყველამ თავი...  
ნეტა ქვეყნად თუ ვინმეა  
ჯარის-კაცზე საცოდავი!?!...

ვიხედებით ირგვლივ შიშით,  
დამფრთხალნი ვართ, ვით კურდღელი,  
რომ არ მოგვცენ „რიგს გარეშე“  
და ან კიდევ სხვა სასჯელი!..

ს. აბუღლაძე.

ქ ქუთაისი 1916 წ.

# ა ბ ლ ე კ !!!

(დასასრული).

აღმოსავლეთის კომედია 1 მოქ.

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი :

**ფატმა** - ჰუსეინის მეუღლე, ახალგაზრდა ქალი.

**ჰუსეინ** - მისი ქმარი, კარგად შენახული მოხუცი, ვაჭარი

**სულეიმან** - მსახური, მოხუცი, მახინჯი.

**ხაფიზ** - ახალგაზრდა კაცი.

მოქმედება ალყირში, ჰუსეინის სახლში. ოთახი მოწყობილია მავრიტანულ სტილზე. სცენის სიღრმეში კარი ფერადი ფარდით. მარცხნივ კარები. მარჯვნივ ფანჯარა რკინის ცხრილით. კედელზე ხალი. ხალზე - ძველებური ხმალი და დამბაჩა. კუთხეში მაგიდა შემოქსოვილი ბოთლ-ბაკლებით. ერთ-ერთ მხარეს დიდი სკივრი. სკივრზე ჰყრია: ქალის წამოსასხამი და ჩადრი. ოთახი დაფენილია ხალიჩებით დივანი, პატარა მაგიდები, ფერადი ბალიშები ჩანგურის მსგავსი საკრავი.

**ჰუს.** (ძალზე ხარხარებს) გეფიცები ალლაჰს, მე რომ ეს წიგნი არ მქონოდა, შენ ისეთი ეშმაკი ხარ, დღე არ გავიდოდა არ შეგეცდინე! - დამიგდე ყური, ფატმა, მოდი მომიგე მე შენ ის ძეწვევი, რომელიც არ გქირია და გინდა კი გქონდეს.

**ფატ.** რა ვითამაშო? გსურს კამათელი, მგონი მოვიგებ!

**ჰუს.** (გახარებული) არა, გნებავეს „აბდალლუ“?

**ფატ.** (გულ მოსული, მარა დაინტერესებული) „აბდალლუ“? პირველად მესმის! რა თამაშია!

**ჰუს.** ძალიან მარტივი და ადვილი. ყური დამიგდე: როდესაც ჩემგან რაიმე ნივთს მიიღებ, უნდა დაიძახო: „აბდალლა“, აგრეთვე მეც, და თუ ვერ მოვასწარი „აბდალას“ დაძახება, წავაგებ და შენ კი მიიღებ იმ ძეწვეს, რომელიც შენ ძალიან გინდა.

**ფატ.** რაც არ უნდა მოგცე, შენ უნდა „აბდალლა“ დაიძახო?

**ჰუს.** ყველაფერზე როცა რაიმეს მომცემ!

**ფატ.** რომ ვერ მოასწრო?

**ჰუს.** წავაგებ და შენ ძეწვეს მიიღებ!

**ფატ.** (წამოიქრება გახარებული) მე თანახმა ვარ!

**ჰუს.** ძალიან კარგი. ახლა კი დუქანში წავალ, დავხედავ რას აკეთებს ახმედ, ის ზარბაცი ძალლი, ისა! სულეიმან! აღბად ისევ ჩამოეძინა სადმე იმ ბერ აქლემს. ძალიან დარაჯა არა გეყავს, მას სძინავს და კარბები კი დაღებულთა. მოდი და შემოვიდა ვინმე, მერე! სულეიმან, ა, სულეიმან!...

**ფატ.** (ალერსით) ტანის ჩაბრუნება მოგიხარები, ჩემო ხელმწიფე! (მიაწოდებს ხალხურად ჰუსეინ ჩამოართმევს და რაც ძალა და ღონე აქვს ყვირის: „აბდალლა“ მერე გაღიხარებებს; ფატმა ყურადღებას არ აქცევს) ნება მიბოძე ჩემო ბატონო, სარტყელი გაგისწორო! იქნებ, ჩემო ხელმწიფე, ღონის მოსაკრებად ერთ ქიქა ცივ წყალს მიიერთმევ? (უსხამს წყალს).

**ჰუს.** სიამოვნებით, ჩემო სიცოცხლე!

**ფატ.** (მიაწოდებს ქიქას) ინებე, ჩემო ბატონო!

**ჰუს.** რა ნაზი და გულშემატკივარია ჩემი თვალის სინათლე! (ჩამოართმევს ქიქას და ღრიალებს) „აბდალლა“ ხა, ხა, ხა, ხა...

**ფატ.** (აღელვება ემჩნევა) რა სისულელეა, რა გაცინებს?

**ჰუს.** ხა, ხა, ხა...

**ფატ.** ნუ თუ გგონია შენი მოტყვილება მინდა, აზრადაც არ მომსვლია, ეს მე ხვალ დილისათვის გადავდე, არა არც ხვალისათვის, ასე ადრე შეუძლებელია რომელიმეს შეცდომაში შეყვანა.

**ჰუს.** ჩაშ, შენ იმედი გაქვს ოდესმე მომიგო, მომატყუო, ჰა? არასოდეს, ამას შენ ვერ მოესწრები. აბა, რას ამბობ, არა, არა, შენ მაინც ეცადე, იქნებ გამოდნეს რამე. აი მე მივდივარ, შენ მართათ რჩები, თავისუფალი დრო ბევრი გექნება, დაფიქრდი, მოიგონე რამე, რომ უკეთ და ადრე მომიგო.

**ფატ.** აბა, რას ამბობ, ჩემო ხელმწიფე, უშუალოდ ამ სისულელეზე რა დამაფიქრებს? მე მხოლოდ შენზე, შენზე ვიფიქრებ, ჩემო სიცოცხლე!

**ჰუს.** ე?

**ფატ.** (ორივე ხელებით ყელს შემოეხვევა და ნახათ) ალლაჰ იყოს შენი მფარველი, ჩემო ხელმწიფე! მიიღე ჩემი კოცნა, ჩემო სიცოცხლე!

**ჰუს.** სიამოვნებით, ჩემო თვალის სინათლე! (ჰკოცნის და ყვირის) „აბდალლა“... ხა, ხა, ხა, ხა, ხა.

**ფატ.** (გულმოსული მოშორდება) ოოო!...

**ჰუს.** ამ წიგნში ყველაფერია ნათქვამი, ყველაფერი! არც ეშმაკური კოცნაა დავიწყებული, აი, მე-14-ტე გვერდზე ზევით!

**ფატ.** დაწყევლილი, შეჩვენებული წიგნი! (გამოგლეჯს ხელიდან და ზურგს უკან დამალავს) ამას შენ ვეღარ მიიღებ, დავკლავ, დავწვავ!

**ჰუს.** (სერიოზულად) ფატმა! მომეცი ეგ წიგნი.

**ფატ.** დავწვავ-მეთქი!

**ჰუს.** არ გაბედო. მომეცი-მეთქი ჩემი წიგნი!

**ფატ.** არასოდეს.

**ჰუს.** (მიუხვდება ეშმაკობას) დიად, დიად... არა, არ მინდა, მერე იყოს, მე რომ წავალ ე მანდ დადევნი მაგიდაზე! (წასვლას აპირებს, შეჩერდება კარებში) ცოტა-და მაკლდა, კინაღამ არ მომიგე,



მარა არც ეს შემთხვევაა დავიწყებული! (სიცილით გადის).

III ფატმა, მერე სულეიმან.

ფატ. ეს შეჩვენებული წიგნი (ისერის იატაკზე და ფეხებით სრესს, ცალი წულა ფეხზე წამოსკვრება; შემოდის სულეიმან).

სულ. ხაფიზ გიხლათ, ფანჯარასთანაა!

ფატ. (მიიღობენს) სად არის?

სულ. იქ აღარ იქნება, დერეფანში შემოვიდოდა!

ფატ. რად არ უთხარი შემოსულიყო?

სულ. აი, კიდევაც მობრძანდა!

IV იგინივე და ხაფიზ.

ხაფ. (გადაუგდებს სულეიმანს ფულს) წადი იძინე, მოხუცო!

სულ. რა საჭიროა ბატონო, ძილს არც ისე ვიკლებ! (აიღებს და გადის)

ხაფ. ფატმა! (მიაშურებს)

ფატ. (დივანზე ჩამოჯდება) მომაწოდე წულა! ჩამაცვი ფეხზე! (ხაფიზ დაიჩოქებს და დიდხანს აცმევს) როგორ მოგწონს, ხაფიზ, ეგ ფეხი, ჰა?

ხაფ. ძალიან, ფატმა, ჟრუანტელი მივლის, ასეთი მეორე მთელ ალყარში არ მოიპოვება.

ფატ. ეს რილათია ნაკლები? (იძრობს მეორეს)

ხაფ. ეგ ხომ ამის ცალია! (ჩააცმევს, ჩამოჯდება მის გვერდით, უნდა მოხვიოს ხელი, მარა ფატმა გაუსხლტება).

ფატ. ხაფიზ, რატომ არ მოგწონს რუსთემის ცოლი? იგი ხომ მჯობნის თვის შავ თვალებით!

ხაფ. შენი თვალები უშავესია.

ფატ. გალობიდაც ხომ უკეთა გალობს?

ხაფ. მისი ხმა ვირის ყროყინს ჩამოჰგავს, შენი კი ბულბულის საამურს სტვენას.

ფატ. (ჩადრს წამოისხამს) ხაფიზ, შენთვის საკმარისი ყოფილა მხოლოდ ჩემი თვალები, შენ მე უბნები, რომ მხოლოდ ჩემი თვალები მოგწონს.

ხაფ. შენი თვალები ვითა ვარსკლავნი ანთებენ უდაბნოსა შინა, მე შენ მთლად მომწონხარ, ფატმა, მიყვარხარ მთელის არსებით (გაეშურება მის კენ. ფატმა გაუსხლტება. ხაფიზი ცდილობს ჩადრი მოაცილოს. ფატმა არ ემორჩილება. ფატმას სიბილი თანდათან ცეკვა-თამაშში გადადის. ხაფიზ აიღებს ჩონგურს და ფატმას მოძრაობას შეუფარდებს აკოპანიმენტს. ფატმას ცეკვას და ხაფიზის ჩონგურს ბანს აძლევს ფატმას სამაჯურების პაწაწა ზარების წკრიალი).

V ფატმა, ხაფიზ და ჰუსეინ.

ჰუს. (კულისებში) სულეიმან, ა, სულეიმან, შეზარმაცო ძაღლო, სად დაიკარგე, რატო კარებთან არა ხარ?

ფატ. ჩემი ქმარი... აღარ წასულია თუქანში... რალა ვქნა ეხლა!..

ხაფ. (წამოიჭრება, ჩანგურს ხელიდან გააგდებს, ხმაღს ეცემა).

ფატ. სსს! მოიცა, მოიცა! შენ აი, აქ, ამ სკივრში უნდა ჩაჯდე! (ასწევს სახურავს).

ხაფ. არაფრის გულისათვის.

ფატ. ერთად ერთი გამოსავალია, სხვა გზა არ არის!

ჰუს. (კულისებში) ეს ვინ არის? ჰასან, შენა ხარ? აქ მოდი ჩემთან! დღეს მხოლოდ შენზე გვექონდა ლაპარაკი.

ხაფ. ის ვილაცას შეხვდა კარებთან!

ფატ. ოქრომჭედელია, ოქრომჭედელი, ნუ გეშინია, ჩადი-მეთქი, მალე! აქეთ მოდიან! ჩაჯექ და ხმა, კრინტი არ ამოიღო, რაც უნდა გაიგო, გესმის? (სწრაფად გადაეხვევა) აბა, მალე, მენდე და ხმა, კრინტი-მეთქი, გესმის?

ხაფ. მესმის, ფატმა!

ფატ. (დახურავს სახურავს, დაკეტავს დიდი გასაღებით და იღიმება) გახსოვდეს, რაც უნდა გაიგო, არაფერი სთქვა. (სწრაფად გადადის მარჯვნივ, მიუბრუნდება კარებს, ხელებს გულზე დაიკრებს, მოიწყენს და გაქვავდება).

ჰუს. (კულისებში გაცოფებული) რაო, ნ! ოქრო? მერე და უჩემოდ როგორ გაბედა! (შედის მთლად გაწითლებული, დარბლებსა ჰყრის, ხელთ დიდი ოქროს ძეწკვი უკავია) ყური დამიგდე, ფატმა! როგორ გაბედე ჩემ დაუკითხავათ უბძანე და ჰასანს აქ მოატანინე ეს ძეწკვი? რატომ არაფერი მითხარი? შენ გეგონა მოტანისთანავე დაუთვლიდი ნი ოქროს? არა ჩემო კარგო, ვერ მოგართვი! ჯერ შეგვესრულებია დადებული პირობა, მოგვეგო და მერე მე თვითონ მოგიტანდი, არა და ტყუილად შეწუხებულხარ; არა, ჩემი გაცურება არც ისე ადვილია შენ რომ გეონია სანამ ხელთა მაქვს მე ჩემი წიგნი.

ფატ. (ამაყად და მკაცრად) შენ. ჰუსეინ, მხოლოდ ოქროზე ფიქრობ და ზრუნავ, სხვა აღარაფერი გახსოვს, ისა სჯობია უპატრონო შენს ლამაზ ცოლსა და ოჯახის პატიოსნება დაიცვა!

ჰუს. ჰა, რაო? ჩემი ოჯახის პატიოსნება?

ფატ. შენ ხომ მარტო დამტოვე და დარაჯათ მძინარა სულეიმან მომიჩინე?

ჰუს. აღაჰს გაფიცებ, რაშია საქმე, ხომ არავინ შეწოვივარდა? (ფატმა დაუშვებს ხელებს, თავს უქნევს ნიშნათ თანხმობისა და ძალზე აშოიხნობს) მამაკაცი!? გიაური? უცხო გვარ-ტომის? (ოქროს ძეწკვს სარტყელში ინახავს, ველურივით მიმოიხედავს, ტაშს შემოჰკრავს) გაფიცებ მაჰმადის წვერსა, მართალი მითხარი, დაუძანე თუ არა ვინმეს საშველად?



**ფატ.** ვინ უნდა დამეძახა? სულეიმან, რომელსაც ერთთავად სძინავს?

**ჰუს.** ხომ გააგდე, ხომ არ დაუწყე შენ მას ბაასი, ხომ შეაშინე?

**ფატ.** თუ შეაშინე?! რა ძალა მქონდა?

**ჰუს.** რა მემართება!.. რა ამბავია ჩემს თავს!.. გაფიცებ მაჰმადის წვერსა, მართალი მითხარი, ხომ არ დაგიწყია მან არშიყობა?

**ფატ.** ხელი მტაცა, გულში ჩამიკრა, მისი ტუჩებით ტუჩებში ჩამეკონა, აღარ მომცილდა!

**ჰუს.** საძაგელო დიაცო! ის ძაღლი, ისა! და მერე შენც საშუალება მიეცი გაქცეულიყო, ჰა? უნდა ჩასტიდლოდი ფრჩხილებით და კბილებით არსად გაგეშვა! მაშ, გამექცა, გაიქცა ის ძაღლი, ისა?

**ფატ.** (პათეტიურად) არა, არ გაქცეულა, ვერსად წავიდა!

**ჰუს.** როგორ? რაო?

**ფატ.** რომ ჩავტიდლოდი ფრჩხილებით და კბილებით, რა შემდეგო სუსტ დედაკაცსა? მე ხერხი, ხერხი ვიხმარე და აი, აქა მყავს, აი, აქ, ამ სკივრში!

**ჰუს.** სკივრში რა უნდა?

**ფატ.** მოტყვილებით ჩავსვი, ჩემო ხელმწიფე!

**ჰუს.** ე ა-ა! მაშ ის აქ არის, დამწყვდეული აი, აქ, ამ სკივრში!?

**ფატ.** (გასაღებს აწვდის) აი, გამომართვი ეს გასაღები და მაგიერი გადაუხადე, ჩემო პატრონო, ჩვენი ოჯახის შერცხვენისათვის!

**ჰუს.** (გაცოფებული გამოგლეჯს ხელიდან გასაღებს, ჩამოიღებს ხმაღს, მივარდება სკივრს, მარა წინ ფატმა გადაელობება).

**ფატ.** ძეწკვი, ჩემი კეწკვი, არ დაივიწყო ჩემი ძეწკვი, ძეწკვი მოგიგე! (მიაშურებს ჰუსენის ქამარს ძეწკვის ამოსაღებად).

**ჰუს.** (დაიბნევა) დედაკაცო, ხომ არ გაგიედი, რა დაგემართა, რომელი ძეწკვი?

**ფატ.** დაგავიწყდა „აბდალა“, რომ ჩამომართვი გასაღები რათ არ იყვირე: „აბდალა“.

**ჰუს.** (ხელიდან გააგდებს გასაღებს, ხმაღს და თავში ირტყამს) შე, ბებერო ვირო!.. (შებედავს ფატმას) მაშ ეს ყველაფერი ძეწკვისათვის მომიწყვე?! (თავში იცემს) შე ბერო ჯორო! რას უჯეროდი სისულელესა, როგორ არ ვიფიქრე და როგორ შევცდი?! მოდი წაიღე ეს შენი ძეწკვი! (ფატმა ჩამოართმევს, გახარებული ტრიალებს და კისერზე იზომავს) წავალ, წავყვები ოქრომჭედელსა, დავახურდავებ ფულს და მივაშავებ მის 50 ოქროს. არა დღეც არ გასულა, როგორ წავაგე „აბდალა“ მე ვირმა, ასე! (გასვლისას იატაკზე შეამჩნევს თავის წიგნს, ფებს ჰკრავს და განზე ისვრის).

**ფატ.** ჩემო ბატონო, ასე ეპყრობი შენს ძვირფასს წიგნსა, რომელსაც „ათას ერთი ოინი“ ეწოდება.

**ჰუს.** (შეჩერდება კარებში, მიაშურებს მის გიძლია დასწვა. სულელია მაგის გიძლია დასწვა. სულელია მაგის მყიდველი. რად მინდა „ათას ერთი ეშმაკობა“, როდესაც შენ ათას მეორე მომიწყვე. (გაღის).

**ფატ.** (მიაშურებს სკივრს) არა ნაკლებია ათას მესამეც, ამას მერე შეიტყობ.

ფ ა რ დ ა

სოსო მელიქიშვილი.

### წარმოდგენები მე-6 კვირისათვის.

შაბათს, 16 ოქტომბერს დ. ლაგოდების სცენაზე ჯარის-კაცთა სცენის მოყვარეთა წრემ მასწავლებლის ხელმძღვანელობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის: „მიწა“! სურათები შ. არაგვისპირელის მოთხრობიდან 2 მოქ. და სურათები სამხედრო ცხოვრებიდან 1) „სამშობლოს განთავისუფლება“ 2) „თავდაცვა“ ან „ქუღზე კაცი“! წარმოდგენას წინ უძღოდა მასწავლებლის საუბარი სურათების შინაარსზე და მის დედა-აზრზე. წარმოდგენის გათავებისას ათასეულის თავმა ბ-ნ თავაძემ ჯარის-კაცებს მიმართა სიტყვით, წარმოდგენის და საერთოდ საკულტურო მუშაობის მნიშვნელობაზე ჯარში. წარმოდგენაზე იყვნენ აგრეთვე ჯარის-კაცები ყველა აქ მყოფ ნაწილებიდან თავიანთი ოფიცრებით.

კვირას, 17 ოქტომბერს — წარმოდგენა განმეორდა. წარმოდგენის წინ მასწავლებელმა წაიკითხა ლექცია: „ჩვენი დღემანდელი მდგომარეობა“. წარმოდგენას ჯარის-კაცების გარდა დაესწრნენ ადგილობრივი პროგიმნაზიის მოწაფენი მასწავლებლებით. და მრავალი გარეშე საზოგადოება. წარმოდგენა ორივეჯერ მშვენივრად ჩატარდა და უფასო იყო. თავიანთი თამაშით უურადლება მიიქციეს ჯარის-კაცებმა: გოდერძიშვილმა, ბიძკინაშვილმა, ტაძიკიძემ, რობაქიძემ, სულაკაურმა და ლილუაშვილმა. მზადდება წარმოსადგენად — „არსენა“ დრ. მ მოქმ. აღ. ყაზბეგის. უნდა აღინიშნოს, რომ წრეში სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა: ყოველთვის მზადდება რომელიმე პიესა. იმართება აგრეთვე საუბარი ჩვენი და საერთოდ, თეატრის ისტორიაზე და სასცენო ხელოვნებაზე.

მხედარი.

# ფიქრები და შენიშვნები.

## III.

ჯარი სპეტაკი და ფაქიზი უნდა იყვეს, რაინდული, ულაქო, უჩრდილო და მომხიბლავი... ჩვენი ჯარის გასაჯანსაღებლად, სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს უფროსების ზნეობრივ მხარეს.

თუ უფროსი ჰბორბოტმოქმედობს, თუ უფროსი ჰსჩადის შეუფერებელს საქციელს, რომელიც არ შეჭფერის კეთილ—სინდისიერ აღამიანსდა, კერძოთ, ოფიცრის ღირსებას, ამგვარი უფროსი ყოველგვარ ფასსა და ღირსებას ჰკარგავს ხელქვეითთა შორის და, რაც უნდა ეცადოს მათ აღზრდა—გაწვრთნას, მიზანს მაინც ვერ მიაღწევს...

თუ, მაგალითად, უფროსი ღროზედ არ ცხადდება სამსახურში, იმას უფლება ეკარგვის უსაყვედუროს ჯარის კაცს მეცადინეობაზე დაგვიანება, თუ უფროსი ჰფლანგავს სახაზინო ქონებას, ვერც ჯარის კაცს აუკრძალავს ამ ქონების მითვისებას, თუ უფროსი რიგზე არ არის ჩაცმული და მხედრული გარეგნობა არა აქვს, ვერც ჯარის კაცს მოსთხოვს ხალისიანად. მალხაზად და ვაჟაკურად გამოიყურებოდეს და... ირღვევა დისციპლინა, წესრიგიანობა, იწეწება საქმე...

ჯარი უმწიკვლო უნდა იყვეს, მამაცი, სხივოსანი და სანეტარო, რაიც, უმთავრესად, დამოკიდებულია უფროსებზე, ოფიცრობაზე...

## IV.

ზოგიერთ სამხედრო ნაწილებში დღემდინ მსახურებენ ოფიცრები, რომელთაც სრულიად არ იციან ქართული—არც ლაპარაკი და არც წერკითხვა...

ვინც აქამდინ არ შეითვისა სახელმწიფო, ენა, მას არც სურვილია ჰქონია, არც ჰყვარებია სამშობლო და დედაენა, არც ღირსია, რომ მსახურებდეს ჩვენს ჯარში...

და ვერც წარმომიდგენია რომელი ენაზე უნდა აუხსნას და განუმარტოს ჯარის კაცებს, რომელი ენაზე უნდა ასწავლოს მათ სამხედრო საქმე, რომელი ენით უნდა ჩაუნერგოს სამშობლოსა და ხალხის სიყვარული... გაუგებარია...

ჯიუტიბო.

# ამონაკუნესი.

ჯერ კიდევ ვცოცხლობ  
სამშობლო ჩემო!  
ჩემში იმედი,  
ჯერ არ ჩამქრალა,  
კვლავ შემწვეს ბრძოლა,  
მომავლისთვის—  
კვლავ შემწვეს ნიჭი,

კვლავ შემწვეს ძალა!..  
და თუ დავეცი  
ბრძოლისა ველზე  
მტრის ხელისაგან  
გულ გაგმირული  
ცივ სამარეში  
ჩამყვება მხოლოდ  
შენდამი ტრფობა  
და სიყვარული.

პოლონ კულაშელი.

# ყაზარმა.

თეთრი ყაზარმა და აფიცრები.  
დილა აღრიან რიკვა ზარების.  
ყველას დაქრიან როგორც ისრები,  
ისმის ძახილი მხოლოდ გვარების.

სამზარეულო. თეთრი ქაფებო.  
ყოველ საღამო ჩაი ან ქაში  
სადილობის დროს ძებნა ქვაბების,  
ისევ ხმაური, ძმურა განგაში.

ფეტომობილი. ღია ვარაჯი.  
და ყველას გულში თამაში ძგერა,  
ისევ საღამო, ჯარში დარაჯი.  
და ნასადილევს ჩუმი სიმღერა.

ასე დვივდება გრძნობა ფარული.  
როცა არ ვხედავთ ჩვენ განსხვავებას.  
ყველას გვაერთებს აქ სიყვარული,  
სამშობლოს დაცვა, და აყვავება..

ჯ. კ. ტერენტი გრანელი.

# ჩემი სიძარბო.

აი ის პირი!.. რომელიც დღესაც  
ხალხის უფლებას ითვისებს ძალით,  
და ხალხის სისხლით გაუმადლარი—  
ემებს სიცოცხლეს შურით და ხმალით.

კვლავად მოკვდება!.. ჩემს სამშობლოში  
ვერ გაიხარებს, ვერას დროს ისა;  
დედის ძუძუებს ველარ იხილავს,—  
ნატვრა დარჩება მისს ტკბილი ხმისა.

ბნელ სამარეშიც მისი ჩონჩხები—  
მარად იშფოთებს, ვერ მოისვენებს;  
ზედ დაყოლილსა წყვეა და კრულვას—  
იმ სოფელშიაც კი მოიჩვენებს.

II.

ჩემს სამშობლოში—მოძმედ მივიღე  
სუფრას გაუშლი ლამაზს, დიდებულს;  
ვინც-კი მეც ჩამთვლის სრულ-უფლებიანს,  
მოქალაქედ და ძმურად მიღებულს.

III.

ამიტომ ვის სურს გადამელობოს —  
ძღვევა-მოსილს კაცს გულით და სულით;  
ნეტაუ ვინ ბედავს გამარჯვებულის  
დაპყრობას ტყვეით, პურით და ფულით?!

შორს ინავარდეთ ვით ყვავ-ყორნებმა,  
არა მსურს თქვენი არც ერთი რამე;  
ამ ჩემს მხარეში კიდევ სინათლემ.  
დასძლო უძღურის შავ-ბნელი ღამე!

დათიკო ნ. ღოღობერიძე.

### ხალხური ლექსი.

ჩაწერილი ხევ-მთიულეთში  
ა. კობაიძის მიერ.

მამავ, მამავ! — შენსა მზესა,  
სიკვდილი მკლავს, მენაცვალე!

— ვერა, ვერა შენმა მზემან, დედა  
გყავს და ინაცვალე!

— დედავ, დედავ, შენსა  
მზესა, სიკვდილი მკლავს  
მენაცვალე!

— ვერა შეილო, შენმა მზემან,  
ძიკბი გყავს და ინაცვალე!

— ძმაო, ძმაო შენსა მზესა  
სიკვდილი მკლავს მენაცვალე!

— ვერა, ძმაო, შენმა მზემან,  
დები გყავს და ინაცვალე!

— დაო, დაო შენსა მზესა  
სიკვდილი მკლავს მენაცვალე!

— ვერა, ვერა შენმა მზემან  
ცოლი გყავს და ინაცვალე!

— სხვისა შეილო, შენსა მზესა  
სიკვდილი მკლავს, მენაცვალე!

— ვერა, ვერა შენმა მზემან,  
ვინც სხვა გიყვარს ინაცვალე!

— საყვარელო, შენსა მზესა სიკვდილი  
მკლავს მენაცვალე!

— აგრე, აგრე შენმა მზემან,  
თუნდა დღეს და თუნდა  
ხვალე, მე მოგვდე და  
შენ იცოცხლე, გთხოვ  
ლოგინი შემიცვალე!

### ეროვნული

### ჩვენი ტყვისმფრქვეველი.

როცა მტერი თავს გვესხმის  
გვიძახის ბრძოლის ველი,  
მაშინ ახმაურდება  
ჩვენი ტყვისმფრქვეველი.

ჩვენებს გულს გაუმხნეველს  
მტრებს გული გაუსკდება  
ვინც ჩვენს სამშობლოს ებრძვის  
მას შიგ გულში მოხვდება.

ამისათვის ჩვენც გვიყვარს  
ჩვენი ტყვისმფრქვეველი,  
უტყუარად სროლილობს  
თავისუფლების მკველი.

შეჩერება არ იცის  
იმან მტერთან ბრძოლაში,  
იავზარ დაცემულ მტრის ჯარს  
გაახვევს ცეცხლის აღში.

თუ შევატყობთ მოღალცას  
ვასმევთ ზეთსა და წყალსა,  
მტერს მოვწმინდავთ ჩურებითა  
ჩვენს პაწა გმირს საწყალსა.

მიმღებს მივცემთ არშის  
კლიტეს დავწევთ უკანა  
მაშინ ვაზნა დადგება  
გასწვრივ ფანჯარასთანა..

როცა კლიტი მიიტანს  
საფაზნეში ვაზნასა,  
და მეორე ვაზნა კი  
მიმღებში აქვს თასასა...

მერმე როცა მოიწევს  
ის სასხლეტი მწვეელი,  
მაშინ აკაკანდება  
ჩვენი ტყვისმფრქვეველი.

როცა მტერი თავს გვესხმის  
გვიძახის ბრძოლის ველი.  
მაშინ ახმაურდება  
ჩვენი ტყვისმფრქვეველი.

საწყალი მუშა.

პასუხის მგებელი რედაქტ. ნ. კურდღელაშვილი.